საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ კომპანიის ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს შეუძლიათ კომპანიის ბოლო სამი წლის მონაცემების შემოწმება.

საოპერაციო გარემო

განვითარებადი ბაზრები, როგორიცაა საქართველო, ექვემდებარება სხვადასხვა რისკებს, სხვა განვითარებულ ქვეყნებთან შედარებით, როგორიცაა ეკონომიკური, პოლიტიკური, იურიდიული და საკანონმდებლო რისკები. კანონები და რეგულაციები, რომლებიც გავლენას ახდენს საქართველოში ბიზნესზე, სწრაფად იცვლება, საგადასახადო და მარეგულირებელი ჩარჩოები კი სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება. საქართველოს მომავალ ეკონომიკურ მიმართულებაზე დიდ გავლენას ახდენს მთავრობის მიერ მიღებული ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა, იურიდიულ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოში განვითარებულ მოვლენებთან ერთად.

სასამართლო დავები

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ აქვს სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

15. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

დამფუძნებლის ცვლილება

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ შეიცვალა კომპანიის დამფუძნებლები და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღში კომპანიის 50-50%-იანი წილის მფლობელები არიან გიორგი დარციმელია (პ/ნ 01008005072) და გიორგი ჩომახაშვილი (პ/ნ 01017032446).

მიღებული სესხები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დამფუძნებლებისგან, ვარსებაშვილი სულიკო და დარციმელია გიორგი აიღო ჯამურად 2,700,000 და 2,600,000 ლარის სესხი, შესაბამისად.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ კომპანიამ დირექტორისგან, ჩომახაშვილი გიორგი აიღო ჯამურად 3,050,000 ლარის სესხი.

გადასახადები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ცვლილება შევიდა კანონი აზარტული თამაშების შესახებ, რომლის მიხედვითაც სათამაშო აპარატებზე მომხმარებლების მიერ მოგებული თანხა გადახდის წყაროსთან დაბეგვრას ექვემდებარება 5 % ის ოდენობით, ხოლო კომპანიის მიერ მოგება თანხა 15 % ოდენობით. ხელმძღვანელობას არ შეუფასებია მოსალოდნელი გავლენა კომპანიის სამომავლო ფინანსურ შედეგებზე.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ. აღნიშნული პოლიტიკები ეხება წარდგენილ ყველა წელს, თუ განსხვავებული არ არის განცხადებული.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი („ლარი“). უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ტრანზაქციები თავდაპირველად აღიარდება სამუშაო ვალუტაში ტრანზაქციის განხორციელების თარიღში არსებული საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საანგარიშგებო თარიღში უცხოურ ვალუტაში დაფიქსირებული მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ხორციელდება ამ თარიღისათვის არსებული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. გადაფასებით წარმოქმნილი საკუროს სხვაობები აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ:

2023 და 2022 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი (საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი) იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული გაცვლითი კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6894	2.9753
კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის	2.702	2.8844

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსური აქტივები

ფინანსური აქტივები მოიცავს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს და ფულად სახსრებსა და მის ეკვივალენტებს. ყველა ფინანსური აქტივი თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით. ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით, ანუ გაუფასურების გამოკლებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულად სახსრებს საბანკო ანგარიშებზე. ფული და ფულის ეკვივალენტები აღიარებულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით.

გაუფასურება

კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურებისა, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, კომპანია დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს სრული შემოსავლის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს. ყველა ფინანსური ვალდებულება თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, კომპანია აფასებს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს გადასახდელი ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით. სავაჭრო და სხვა ვალდებულებების საბალანსო ღირებულება შეესაბამება მათ რეალურ ღირებულებას, დაფარვის მოკლევადიანობის გამო.

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების დანეტება

კომპანია ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებს ანეტებს მაშინ, როდესაც ურთიერთჩათვლა იურიდიულად არ არის შეზღუდული და კომპანია გეგმავს ანგარიშსწორებას ნეტო საფუძველზე ან ფინანსური აქტივის მიღებას და ვალდებულების დაფარვას გეგმავს ერთგვაროვნად.

ფინანსური ვალდებულებებისა და აქტივების აღიარების შეწყვეტა

კომპანია წყვეტს ფინანსური აქტივის აღიარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც: (ა) ფინანსური აქტივიდან მისაღები ფულადი სახსრების მიღების საკონტრაქტო უფლებებს ვადა გასდის; (ბ) იგი გადასცემს ფინანსურ აქტივთან დაკავშირებული ფულადი ნაკადების მიღების უფლებას, ან შედის ისეთ გარიგებაში, როდესაც: (i) აქტივის გასვლასთან ერთად ხდება ყველა არსებითი რისკისა და სარგებლის კომპანიიდან გასვლა; ან (ii) კომპანია არ გადასცემს აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ რისკსა და სარგებელს, მაგრამ ასევე არ ინარჩუნებს კონტროლს ამ აქტივზე. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს უფლება, გაყიდოს აქტივი მესამე მხარეზე, გაყიდვასთან დაკავშირებული დამატებითი შეზღუდვების გათვალისწინების გარეშე.

კომპანია ფინანსური ვალდებულებების აღიარებას წყვეტს მაშინ, როდესაც ვალდებულება სრულდება, უქმდება ან გასდის ვადა. სადაც არსებული ფინანსური ვალდებულება ენაცვლება მეორეს იმავე მსესხებლის მიმართ მნიშვნელოვნად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები მნიშვნელოვნად იცვლება, ამგვარი ცვლილება ან მოდიფიკაცია ითვლება თავდაპირველი ვალდებულების აღიარების შეწყვეტად და ახალი ვალდებულების აღიარებად და სხვაობა საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ, ან გადასახდელ ანაზღაურებას შორის აისახება სრულ შემოსავალში.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღიარებულია პირვანდელ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთის და გაუფასურების ხარჯის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) საფუძველზე.

ძირითადი საშუალებების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასს და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად, ასევე დემონტაჟისა და მოხსნის ხარჯების მიმდინარე ღირებულებას, რომლებიც მომავალში გაიწევა.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი გაწევის პერიოდში.

ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივი დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის.

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
მანქანა-დანადგარები	2-8
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	10
ოფისის აღჭურვილობა	2-10
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10

მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან და გადამუშავებასთან დაკავშირებულ და აგრეთვე იმ დანახარჯებს რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. სავაჭრო ფასდათმობები და გადასახადები რომლებსაც კომპანია საგადასახადო ორგანოსგან იბრუნებს არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯებში.

მარაგის გადამუშავების დანახარჯები მოიცავს: პირდაპირ შრომით დანახარჯებს, ცვეთის ანარიცხებს, საწარმოო შენობებისა და მოწყობილობების ექსპლუატაციის ხარჯებს, და, საერთოდ, ისეთ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული პროდუქციის ერთეულის წარმოებასთან.

კომპანია ყველა სახის მარაგის ჩამოწერისთვის იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს. კომპანია მარაგებს წარადგენს თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. ყოველ საანგარიშო პერიოდში ხდება მარაგების შეფასება გაუფასურებაზე. თუ აღმოჩნდა, რომ მარაგები გაუფასურებულია, საბალანსო ღირებულება მცირდება გაყიდვის ფასს მინუს გაყიდვასთან დაკავშირებული ხარჯების ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც კომპანია გამოაცხადებს დივიდენდს, რომელიც ექვემდებარება მოგების გადასახადით დაბეგვრას. საქართველოს საგადასახადო სისტემის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, საქართველოში რეგისტრირებული კომპანიებისთვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საწესდებო კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით.

დივიდენდები

დივიდენდები აღიარდება როგორც ვალდებულება და შესაბამისი თანხით მცირდება კაპიტალი იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც მოხდა დივიდენდის გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე გამოქვეყნებული დივიდენდები განიმარტება საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებში.

ამონაგები

თამაშებიდან მიღებული წმინდა შემოსავლის აღრიცხვა არ მიეკუთვნება მსს ფასს 23-ე განყოფილების (ამონაგები) მოქმედების სფეროს. აზარტული თამაშებიდან მიღებული შემოსავლების აღრიცხვას არეგულირებს მსს ფასს მე-11 განყოფილება (ძირითადი ფინანსური ინსტრუმენტები). თამაშებით მიღებული შემოსავალი წარმოდგენილია წმინდა შემოსავლის სახით, რაც გაიანგარიშება მიღებულ თანხებს გამოკლებული მომხმარებელთა მოგება და ქეშბექ ბონუსები.

თანამშრომელთა ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები, ბონუსები და არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი მომსახურება მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწვევითანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საიჯარო ხარჯი

იჯარა კლასიფიცირდება როგორც ფინანსური იჯარა, თუ მოიჯარეს გადაეცემა მესაკუთრეობის არსებითად ყველა რისკი და სარგებელი. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება როგორც საოპერაციო იჯარა.

საოპერაციო იჯარის შემთხვევაში, გადასახდელი საიჯარო ვალდებულებები აღიარდება, როგორც მოგება ან ზარალი წრფივი მეთოდით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

16. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საპროცენტო შემოსავლის აღიარება

საპროცენტო შემოსავალი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. კომპანიის ფინანსური შემოსავალი მოიცავს მიმდინარე ანგარიშებზე დარიცხულ საპროცენტო შემოსავალს.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

- წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშგებიდან გამომდინარე, კომპანია მიაჩნის სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და
- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს "დეიდრიმ უნივერსალ საქართველო"

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

შპს დეიდრიმ უნივერსალ საქართველო

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

შპს "დეიდრიმ უნივერსალ საქართველო"

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს დეიდრიმ უნივერსალ საქართველო (შემდგომში „კომპანია“) (ს/კ 404922517) დარეგისტრირებულია 2011 წლის 19 დეკემბერს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საქმიანობას წარმოადგენს სათამაშო ბიზნესი, რომელშიც გაერთიანებულია სლოტ კლუბები და სხვა წამახალისებელი გათამაშებების მოწყობა.

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ.თბილისი, საბურთალოს რაიონი, გამსახურდიას გამზ., №41.

კომპანიის დირექტორია გიორგი ჩომახაშვილი (პ/ნ 01017032446).

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის 50-50%-აინი წილის მფლობელები არიან სულიკო ვარსემავილი (პ/ნ 01001002002) და ირაკლი ჩუბინი (პ/ნ 65002002091).

2. კომპანიის სტრატეგია და მიზნები

სათამაშო ბიზნესი საქართველოში საკმაოდ კარგად არის განვითარებული და ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვან კონტრიბუტორს წარმოადგენს.

სათამაშო ბიზნესის ეკონომიკური სარგებელია:

- მეტი სამუშაო ადგილი
- სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლიდან მიღებული შემოსავალი ბევრი ქალაქისა და მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლების მნიშვნელოვანი ნაწილია
- სათამაშო ბიზნესი ტურიზმის განვითარებასთან მჭიდროდ არის დაკავშირებული, ტურიზმი კი ქართული ეკონომიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სექტორია.

დაარსების დღიდან კომპანიის ოპერაციები შემოიფარგლება საქართველოს ბაზრით, რომელიც თავის მხრივ, ხასიათდება დიდი კონკურენციითა და ზოგადად, საქართველოს ეკონომიკისათვის დამახასიათებელი ძირითადი ნიშან-თვისებებით. საქართველოში სათამაშო ბიზნესი კარგად არის განვითარებული რაც ეკონომიკის მნიშვნელოვან სექტორს წარმოადგენს. აღნიშნულ სეგმენტზე გავლენას ახდენს ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, ასევე საკანონმდებლო ცვლილებები მარეგულირებელი ორგანოების მხრიდან. საქართველოში სათამაშო ბიზნესის განვითარება განაპირობებს მაღალ კონკურენციას.

სწრაფად ცვალებად კონკურენტულ ბიზნეს გარემოში, კომპანია განუწყვეტლივ ცდილობს შესთავაზოს საკუთარ მომხმარებლებს ინოვაციური პროდუქტები და მიდგომები.

გამომდინარე სწრაფი განვითარებიდან, კომპანიისათვის პრიორიტეტს წარმოადგენს:

- არსებულ პროდუქტებსა და სერვისებზე ხელმისაწვდომობა უწყვეტ რეჟიმში;
- უსაფრთხო გარემო
- ინფორმაციის კონფიდენციალურობა
- მომხმარებლებთან ეფექტური ორმხრივი კომუნიკაციის დამყარება;
- ფულადი სახსრების მოძრაობის არხების გაფართოება;
- არსებული პროდუქციის გაუმჯობესება და გამრავალფეროვნება;
- კომპანიის გაძლიერება კვალიფიციური თანამშრომლებით.

ხსენებული პრიორიტეტები, თავის მხრივ, გულისხმობს თანდართულ რისკებს, რომლის წინაშეც დგას კომპანიის ხელმძღვანელობა და რომელთა მინიმიზაციაც წარმოადგენს მისსავე ვალდებულებას.

3. ინფორმაცია კომპანიის ფილიალებისა და საქმიანობის შესახებ

კომპანია ფლობს თბილისში სამ და ბათუმში ერთ ობიექტს, სადაც განთავსებულია სლოტ აპარატები. თუმცა კომპანიას ფილიალების საქმიანობის შესახებ კვლევა არ ჩაუტარებია.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

კომპანიას 2023 და 2022 წლებში არ ჩაუტარებია რაიმე კვლევები და მსგავსი ღონისძიებები.

5. კომპანიის მიზნები

კომპანია მიზნად ისახავს შეინარჩუნოს კლიენტებთან დაკავშირებული მიდგომები და გააგრძელოს განვითარება მუდმივ რეჟიმში. კომპანიის სტრატეგიული მიზანია ბაზრისათვის ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება.

ვინაიდან კომპანიის მიზანია მომხმარებლისთვის მომავალში კიდევ უფრო მაღალი ხარისხის მომსახურების და ინოვაციური პროდუქტების შეთავაზება, კომპანია მუდამ ახალი სტრატეგიული პროექტების დანერგვის და განვითარების პროცესში იმყოფება.

6. დასაქმება და თანამშრომლები

დასაქმებულთა რაოდენობით კომპანია ითვლება საშუალო ზომის კომპანიად. კომპანიის ზრდის პროპორციულად ხდება დასაქმებულთა რაოდენობის ზრდა. 2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასაქმებულთა საშუალო რაოდენობამ შეადგინა 367 ადამიანი, კომპანია თანაბარ პოზიციაში განიხილავს სხვადასხვა ასაკის, გენდერის და ეროვნების ადამიანთა დასაქმებას. კომპანია თანაბრად აძლევს დასაქმებულებს განვითარებისა და წინსვლის შესაძლებლობას. ახალი ვაკანსიის არსებობისას პირველ რიგში ხდება შიდა კადრების შესაძლებლობების განხილვა და მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ოფიციალური წყაროების საშუალებით კადრების შერჩევა. პროფესიული ცოდნის გაღრმავების მიზნით კომპანია რეგულარულად ადხენს კადრების გადამზადებას როგორც შიდა, ასევე მოწვეული ტრენერების მეშვეობით.

7. განვითარება და ინოვაციები

კომპანიის სტრატეგიული მიზანია მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის პროდუქციისა და მომსახურების შეთავაზება და ამ გზით შემოსავლებისა და მოგების ზრდა. ამასთანავე კომპანია მუდმივად ახალი პროექტების განვითარებისა და ბიზნესის ზრდის შესაძლებლობების ძიებაშია. საზოგადოება მჭიდროდ თანამშრომლობს ადგილობრივ მწარმოებლებთან და ახდენს ადგილობრივი პროდუქციის რეალიზებას.

8. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანიის 2023 წლის სრული ფინანსური მონაცემები - მათ შორის ფინანსური უწყისები, კონკრეტული პუნქტების შესაბამისი თანხობრივი მონაცემები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები დეტალურად მოცემულია 2023 წლის აუდიტირებულ ანგარიშგებაში.

საბალანსო უწყისი

თანხები დამრგვალებულია ათას ლარში.

	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
გრძელვადიანი აქტივები	10,158	7,130
მოკლევადიანი აქტივები	7,214	7,398
აკუმულირებული მოგება	14,417	10,963
მოკლევადიანი ვალდებულებები	2,955	1,215

ვალდებულებების შესახებ

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები: კომპანიის პოლიტიკის შესაბამისად, აღნიშნული ვალდებულებების დაფარვა ხდება ხელშეკრულებით პირობების შესაბამისად და განსაზღვრულ ვადებში.

შპს "დეიდრიმ უნივერსალ საქართველო"

მმართველობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
(ლარში)

8. ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

მოგება-ზარალის უწყისი

თანხები დამრგვალებულია ათას ლარში.

	2023	2022
ამონაგები	39,138	38,481
საოპერაციო ხარჯები	26,744	24,184
პერსონალის სარგებელი	(7,034)	(6,667)
საოპერაციო საქმიანობის შედეგები	5,945	8,258
წლის მოგება (ზარალი) და მთლიანი სრული შემოსავალი (ზარალი)	6,086	8,440

კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ძირითადი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები, რომლებიც, კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ნეტო რიცხვად (NGR – Net gaming revenue) (თამაშებიდან მიღებული სრულ შემოსავალს (GGR – Gross gaming revenue) გამოკლებული კლიენტისთვის შეთავაზებული წამახალისებელი აქციების („ფრისპინი“, „ფრიბეთი“, და ა.შ.), ჯეკპოტებისა და ბონუსების ხარჯი).

ფინანსური კოეფიციენტები

	2023	2022
ლიკვიდობა*	2.44	6.09
სწრაფი ლიკვიდობა**	2.42	6.06
ROE***	-	3.59
ROA****	0.35	0.58

*ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება სრული მოკლევადიანი აქტივების შეფარდებით სრულ მოკლევადიან ვალდებულებებთან;

**სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი გამოითვლება კომპანიის მოკლევადიან აქტივებს გამოკლებული მარაგების შეფარდებით სრულ მოკლევადიან ვალდებულებებთან;

***უკუგება კაპიტალზე (ROE) გამოითვლება წმინდა მოგების შეფარდებით კომპანიის საწესდებო კაპიტალთან;

****უკუგება აქტივზე გამოითვლება (ROA) წმინდა მოგების შეფარდებით კომპანიის სრულ აქტივებთან;

2023 წელს 2022 წელთან შედარებით კომპანიის ლიკვიდობის და სწრაფი ლიკვიდობის კოეფიციენტი შემცირებულია 60%-ით. აღნიშნული შემცირება განპირობა მოკლევადიანი ვალდებულებების ზრდამ.

2023 წელს 2022 წელთან შედარებით კომპანიის უკუგება აქტივზე შემცირებულია 66%-ით.

9. მნიშვნელოვანი არაფინანსური მაჩვენებლები

კომპანია ახორციელებს თავის საქმიანობას გამჭვირვალედ, ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით.

თანამშრომელთა კეთილდღეობა - კომპანია საქმიანობას ახორციელებს ბიზნეს ეთიკისა და პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხით. კომპანია ცდილობს ისეთი პროცედურების დანერგვას, რომლებიც ზრდის სწორი თანამშრომლის შერჩევის შესაძლებლობას, რომელიც გათვლილია გრძელვადიან ურთიერთობაზე. კომპანია მუდმივად ცდილობს, შეუქმნას მის თანამშრომლებს უსაფრთხო და კომფორტული სამუშაო გარემო.

სავაჭრო ურთიერთობები - კომპანიისათვის არა მონეტარული მნიშვნელობის მქონე საკვანძო საკითხს წარმოადგენს სავაჭრო ურთიერთობები. კომპანიის ხელმძღვანელობა მუდმივად ცდილობს, პროფესიონალური სავაჭრო ურთიერთობები დაამყაროს მხოლოდ ცნობად და ბაზარზე დადებითი რეპუტაციის მქონე ორგანიზაციებთან რაც ხელს უწყობს მიღებული საქონლისა თუ მომსახურების უნაკლო ფორმით მიღებას, ეს უკანასკნელი კი უზრუნველყოფს მომხმარებელთა კმაყოფილებასა და კომპანიის წინაშე არსებული სხვადასხვა სახის რისკების მინიმიზაციას.

10. კომპანიის ძირითადი რისკები

რისკი თანდაყოლილი მოვლენაა კომპანიის საქმიანობისთვის, მაგრამ მისი მართვა შესაძლებელია რეგულარული ღონისძიებებით, როგორცაა რისკების იდენტიფიცირება, შეფასება და ყოველდღიური მონიტორინგი. გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელია ბიზნესის საქმიანობასთან დაკავშირებული საოპერაციო და ფინანსური რისკების განსაზღვრა, შეფასება და სწორი მენეჯმენტი.

საოპერაციო რისკები: ძირითადად საოპერაციო რისკებად შეიძლება განვიხილოთ მომხმარებლებისა და პერსონალის სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და პირადი ქონების დაცვა, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოება, მომხმარებელთა და პერსონალის სწრაფი ევაკუაცია, მომხმარებელთა სიცოცხლისა და პირადი ქონების დაცვა, სამორინეში შეღწევის შეუძლებლობა, ვიდეო კონტროლი, ასევე მომხმარებელთა კვებასა და (ალკოჰოლურ თუ არალკოჰოლურ) სასმელზე უსაფრთხოება, ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფა.

რისკის მართვა: ყოველივე ზემოაღნიშნულის მისაღწევად სამორინეს გააჩნია ცოცხალი დაცვა, სამორინე აღჭურვილია ვიდეო სამეთვალყურეო კამერებით, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემებით. სტუმრებისთვის მაღალი ხარისხის საკვებისა და სასმელის მისაწოდებლად სამორინე თანამშრომლობს სადისტრიბუციო კომპანიებთან, რომლებსაც შესაბამისი გამოცდილება გააჩნიათ.

თაღლითობის რისკი: სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიაში მნიშვნელოვანი თანდაყოლილი რისკია, თაღლითობის რისკი, რომელიც უკავშირდება თაღლითური გზებით აზარტული თამაზის წარმატებული შედეგის მიღწევას.

რისკის მართვა: კომპანიის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს აღნიშნული რისკის განეიტრალებაზე. მთავარი სტრატეგია არის:

- ეთიკური ღირებულებების განმტკიცება კომპანიაში;
- მაღალკვალიფიციური კადრების შერჩევა;
- ფუნქცია მოვალეობების მისაღებ დონემდე დანაწილება;
- კადრების განგრძობითი სწავლების უზრუნველყოფა;
- სათამაშო პროცესზე პირდაპირ მონიტორინგთან ერთად კამერების საშუალებით მუდმივი მონიტორინგი.
- სალაროს ოპერაციებზე მკაცრი კონტროლი.

რეპუტაციული რისკი: ასევე ერთერთი უმნიშვნელოვანესი პროცესი რაც სათამაშო ბიზნესის ინდუსტრიაში შეიძლება განვიხილოთ არის კომპანიის სახელის (ბრენდის) დაცვა და უფრო მყარად დამკვიდრება. ასევე ფინანსური სტაბილურობის შენარჩუნება ზრდის მომხმარებლების მხრიდან ნდობას (ფინანსური არასტაბილურობა განიზიდავს მომხმარებელს).

რისკის მართვა: კომპანიის ხელმძღვანელობა გამუდმებით მუშაობს არა მხოლოდ ბრენდის ცნობადობის გაზრდისთვის, არამედ მისი რეპუტაციისა და გარკვეული სტანდარტების დამყარებისთვის. ასე მაგალითად, კომპანია მუდმივად ზრუნავს მისი თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლებაზე, რაც გულისხმობს როგორც სამორინეს პერსონალის გადამზადებას, ასევე სამორინეს მომსახურე პერსონალის უნარ-ჩვევების გადრმავევასა და საერთაშორისო ბაზარზე წამყვან სამორინეთა ინდუსტრიაში არსებულ სტანდარტებთან გათანაბრებას.

კომპანიის მენეჯმენტის მთავარი მიზანი არის დაიცვას კომპანია რისკის მიუღებელი დონისაგან და საშუალება მისცეს მას მიაღწიოს საქმიანობის მიზანს.

ფინანსური რისკები: კომპანიის ძირითად ფინანსურ რისკებს წარმოადგენს საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები.

საკრედიტო რისკი: გამომდინარე კომპანიის სპეციფიკისა, რაც გულისხმობს დიდი რაოდენობით ფულადი აქტივების არსებობას, არსებობს რისკი იმისა, რომ მეორე მხარე სათანადოდ ვერ შეასრულებს ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ მოთხოვნილებებს.


10. კომპანიის ძირითადი რისკები (გაგრძელება)

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სწრაფი რეაგირების საშუალებას.

ლიკვიდურობის რისკი: კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის ხელმძღვანელობა იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 23 დეკემბრის შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი



გიორგი ჩომახაშვილი

10. კომპანიის ძირითადი რისკები (გაგრძელება)

აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის, კომპანიის ხელმძღვანელობა ახდენს ფულადი რესურსების დივერსიფიცირებას მაღალი რეპუტაციისა და რეიტინგის მქონე კომერციულ საბანკო დაწესებულებებში და აკვირდება ბაზარზე მიმდინარე მოვლენებს, რაც, საჭიროების შემთხვევაში, აძლევს სწრაფი რეაგირების საშუალებას.

ლიკვიდურობის რისკი: კომპანიის ბიზნეს პროცესებიდან გამომდინარე, კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ კომპანიამ ჯეროვნად შეასრულოს მომხმარებლებისა და სერვის პროვაიდერების წინაშე ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული რისკის მინიმიზაციისათვის კომპანიის ხელმძღვანელობა იყენებს სხვადასხვა ბერკეტებს, მათ შორის წარსული შედეგების ანალიზს, ფულადი სახსრების დივერსიფიკაციას და მონიტორინგს, ლიმიტების დაწესებას და ა.შ. თითოეულ მოცემული პუნქტზე დაკვირვება და ანალიზი მიმდინარეობს მუდმივ რეჟიმში, რაც იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, ცვლილებების დროულად შეტანის შესაძლებლობას.

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მმართველობითი ანგარიშგება ხელმძღვანელობის მხრიდან დამტკიცებულია 2024 წლის 23 დეკემბერს შემდეგი პირის მიერ:

დირექტორი

_____ გიორგი ჩომახაშვილი